ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2786196

ნომერი: AR1431170

თარიღი : 11.08.2016

გაცემის თარიღი : 18.08.2016

გაცნობის თარიღი : 19.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხერგიანი , N 1 / ქალაქი თბილისი , გლდანის VI მ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარი მაღლაფერიძე პ/ნ 01017020362
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 6 ბ. 40

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1431170 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.001.023) გამიჯვნასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.11.12.001.023) სამსახურის მიერ გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (09.12. 2011 წლის 12/117676-13 განცხადების საფუძველზე), შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი (2012.03.20. 2012 წლის 01/661 ბრძანების საფუძველზე) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა (2012.03.20. 2012 წლის n/671-1 ბრძანების საფუძველზე). ხოლო, აღნიშნული საკადასტრო ერთეულის გამიჯვნის შემთხვევაში, წარმოიქმნება ახალი კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი. შესაბამისად იმ შემთხვევაში თუ მოხდება ტერიტორიის გამიჯვნა, 01.11.12.001.023 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 30 იანვრის #215 ბრძანებით მინიჭებული პარამეტრები ვეღარ იმოქმედებს.
ასევე მოგახსენებთ რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად გამიჯვნის შემთხვევაში მიღებული საკადასტრო ერთეული ვერ დააკმაყოფილებს ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ “ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით სამშენებლო მიწის ნაკვეთის დადგენილ მინიმალურ პარამეტრებს. შესაბამისად არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებთი დასკვნა აღნიშნულ გამიჯვნასთნ დაკავშირებით.
ამასთანავე დამატებით განგიმარტავთ, რომ მიწის ნაკვეთის წილობრივი გამიჯვნის საკითხი აღემატება არქიტექტურის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს.
ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს დადებითი ქალაქგეგმარებითი დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.